

78  
78

# ნაკადული

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



გეტერ

აპრილი, 1918 წ.

№ 4.

საბავშვო ჟურნალი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# მეცნიერული

899.962.1(05)

6-22.

წილისადი მე-XIV.

№ 4.

აპრილი 1918 წ.



წილისადი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ენციკლოპედია №  
ქართული ენისა და ლიტერატურის ენციკლოპედია №  
ქართული ენისა და ლიტერატურის ენციკლოპედია №  
ქართული ენისა და ლიტერატურის ენციკლოპედია №

017

F-5819

1346

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

I—წვიმა მოდის,—სურათი . . . . .	1
II—ყვავილი, —ლექსი შიო მღვიმელისა . . . . .	3
III—დილის სტუმრები,—სონია ხაეშიასი . . . . .	4
IV—განთიადზე,—ლექსი მიქერალისა . . . . .	11
V—ია და ნისლი,—პიესა ერთ მოქმედებად, ჰელაგია კანდელა- კისა . . . . .	20
VI—კულა-კულა არაკები:— <sup>უკანა</sup> აი. მსაჯული, თარგმანი, ი. გოგისი . . .	23
VII—გასართობი: რებუსი და ახსნა . . . . .	24



## ყ ვ ა ვ ი ლ ი

(ილიკო ტურიაშვილს)

**ღ**ად მისწობ ლამაზს სიცოცხლეს,  
თავად ლაღო და ცქრიღა?  
სომ არ გკონივარ ნაჭუჭი,  
და ან ქაღალდის ფრიღა!

ბუნებამ შექმნა კოპწია,  
სასიამოვნო თვაღაღა;  
დას სომ არ გაიმეტებდი,  
რომ გავეჩინე ქაღაღა?!

მინდვრის ევაგიღად მოვლენიღს  
ღებიც ბევრი შეავს, ძმებიცა;  
ნიაღს რომ აუძღვრღებით,  
კილოც კარგი გვაქვს, სმებიცა.

ისევე ვცვლქობთ, როგორც შენ  
ღეღის ან ძამის გულზეღა,  
სითბო-სინათლის შვიღები,  
მოვდივართ გასაფხულზეღა.

მკვრამ ზატარა, უცნობო,  
 აი რას გეტყუი მხოლოდა:  
 ჩემ დღეს არ მოასწრაფებდი,  
 დედა რომ თანა გეოლოდა.

რა არის შვილი მშობლისთვის,—  
 გეტყოდა, გითვალთვალებდა,  
 ხელს დაგიჭერდა ალერსით  
 და ჩემ თავს შეგაბრალებდა.

და რაკი ასე არ მოხდა,  
 მამ გადაეცი ტოლსწორებს:  
 შენგან ჩადენილ შეცდომას  
 სულარვინ გაიმეორებს.

ახლა კი ბევრ დამტოვე,  
 ვთხოვ დამთმოს ცელქის წუურვილმა,  
 იქნება რამე მიშველოს  
 დედის ნატვრამ და სურვილმა.

შიო მღვიმელი





## დილის სტუმრები

სურათი



აღიკო! წადი ბოსელში და გამოუშვი ჯერ კრუსი წიწილებით, თორემ სომ იცი ღუტიას ოინები: ქათმების დაპურებას არ მაცლის. გასსოვს—ამას წინად იხვის ჭუკი ტინტილიკა რომ გამიგლიჯა! წადი, დედა გენაცვებლოს!—ეუბნებოდა დილა-ადრიან დედა თავის ვაჟს შალიკოს.

შალიკომ ამ სიტყვებზე ბოსლისკენ გასწია; აქ მოთავსებულნი იუვნენ ბოსლის წვერები: გოჭი ღუტია, ბატი სუ, ინდოური ტიაუ-ტიაუ, ცხვარი თეთრულა და მისი კრავი ჰაჭკუტა, მამლაუინწა და ამ სასოკადოების განუწრელი დედაკატა ციცუნია, რომელიც სადამოთბით ბოსლის სხვენზე მოირთხამდა ხოლმე უეხს და წიწილებს დარჯობდა დაუპატიჟებელ სტუმრებისაგან.

შალიკომ, მივიდა თუ არა ბოსელთან, ჩვეულებრივად დაუძახა კოჭს: ღუტ-ღუტ! მაგრამ ღუტიას სმა არ ისმოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ღუტიას ბოსლის კარები უკვე გაუღო და გამოსულიყო, რადგან დიასახლისის განსრავა მან წინა დაწინვე იცოდა, რომ მას ცალკე მოუსდებოდა საუზმობა; ცალკე საუზმობა კი ღუტიას არ უეწარდა, და ამიტომ ბოსლის ძველი ღობის კარები გაეწია, გაბომბვრალიყო და ჩვეულებრივად მიწის მუშაობას შესდგომოდა.

— ჯი-ჯი, ჯი-ჯი! — ეძახდა წიწილებიან კრუსს დედა.

კრუსს რა მოესმა მხილი, გადმოეძალა ბუდიდან; მას წიწილებიც გამოჰყვნენ. შალიკომ ბოსლის კარები გაუღო მათ.



— კუჭ, კუჭ! წამოდით, შეილებო, წამოდით, ჰატარებო! ჩვენ ქაღალატოსს მარგალიტას მარცვალი მოუტანია დასაჭურებლად.

წიწილებს შეექმნათ სინარული, გაშალეს თავიანთი ღობის ფერი ფრთები, ჰაწია თავები წინ განსწიეს და ფრენასირბილით გაეშურნენ ფანჯრისკენ, საიდანაც ღობის მარცვალი მაისის წვრილ წვიმასავით ძირს მოცვიოდა.

— ბ-ე-ე, ბ-ე-ე! — შექმნა თეთრულამ ჰეტელი, როდესაც დილას ჩვეულებრივი სმა მოესმა და მუნძულით ფანჯრისკენ გამოეყენა.

— ზ-ე-ე, ზ-ე-ე! — გამოჰყვა დედის ზაჭკურტაც, და ესენს გაერივნენ ზაწია წიწილეებში.

კრუსმა, როცა დაინახა ულასათო სტუმრები, იფიქრა — ცხვრები ფესებით წიწილებს დამიჭელეტნო, გაჯაურდა, ცხვრისათვის სამკერად მოეძახდა, და უეჭველად ჩსუბი გაჩაღებოდა, რომ ამ დროს დრუტუნით ღუტია არ მობრძანებულყო.

— ღუტ-ღუტ! მკონი აქ საუსმობენ?! ღუ! არ შეიძლება, ქალბატონო, მოწვალების თვალთ მც. გადმოხედოთ, ცოტა სიმინდი



მითავაზოთ? ღუ! ღობის მარცვალს მე ამრიგად არ გიანლებით, ეს მოცლილების საქმეა! მაინც ამ ეზად წვრილკაკლებისათვის არა მცალიან, შეჩქარება: ამ ნაწვიმარზე მიწის გადბრუნებას შეუდექი.

და ღუტიამ თავი ზევით ასწია.

— შალიგო, თამარა, სადა ხართ, გამაცალეთ აქედან ღუტია!

ღუტიამ გაიგო, რომ ეს ფიცხელი განკარგულება მისკენ იყო მიმართული, როგორც დამხამაკემ თავი მიწს დასწია, თითქო არაფერი გაუგონიანო, და კაკლებს ბოჭვა დაუწყო. კრუსს ეგონა, წიწილებს შეუტიაო, და ეძებრა ფესებით და ნისკარტით.

— რა გნებავს, რომ მეცი ჩსიკვივით, შენი მონაწვევი მაქვს თუ? — და ღუტიამ ნიჩვი წაჭკრა კრუსს, მაგრამ გაანჩსლებული და შეიღების მოუვარული კრუსი არ მოეძვა გოჭს და რბილ ადგილას ნისკარტით ხორცი მოწიწკნა. ღუტიას ემწვავა, მიუბრუნდა კრუსს, ეცა, უკან კრძელი მარაო მოაბდღუნა



ზირში დაიკვება და გაკურცხლავ; ეს ბუნდელი ეურბალიძა  
გამომადგებოა. კნაში მას თუთის წყნელით შალიკო წამოე-



წია და უნდოდა ღუ-  
ტუნისათვის შეუკუებ-  
ლობისა და აედი. მუც-  
ლისათვის ერთი-ორი  
ეთავაზა, მაგრამ ღუ-  
ტიამ დობეში მოასწრო  
და გაძვრა.

— მაივოლე მკეფესებ-მობრანშულს! — მიამახა დედამ შალი-  
კოს, მაგრამ ღუტიამ ხეშიდობოს იყო და მობდღუნელ ბუნდელს  
შსიარულად ანიავებდა.



— ტიავ-ზღუ-უ! — გაიძახოდა ინდოური. — ძალიან გემრიე-  
ლია ამ დილას ეს სიმინდის მარცვლები, მაგრამ ვერ გამოვიდა,  
რისთვის არის ასე ჭიჭო ეს ჩვენი ქალბატონი! თცი, ორ-  
მოცი კაკალი თუ შექნება ჩაულაზული, ეს სომ ჩემ განიერ  
ჩინჩხვს საწრულადაც არ ეყოფა; მან კი ხელი გაიბრუნა და  
მარცვლების გადმობნევაც შესწუვიტა!..

— ს-ს-ს! არა, შე დალოცვილო, ერთი მარცვალიც რომ  
არ გაუშვა, ცოტას სხვებზედაც ვიუიქრებდი, კუჭი და მუცელი  
ჩვენც გაქვს! — ჩაერია ბატი, თავისი გრძელი ნისკარტი გას-  
ჭიმა და კაკლებს კენკა დაუწყო.

— ცოტა იქით მიიწიეთ, ქალბატონებო: აქ ადგილი, მგო-  
ნი, მეც მაქვს! — გამოებანია მამლაეინწა.

— სანაკვესე მიბრმანდით: თქვენი ადგილი იქ არის და  
თავშექცევსაც იქ იძოვით! — მიუგო მამალს ინდოურმა.

— მსჯელობისათვის არ მცალია! — უზახუნა მამალმა და  
კენკა დაიწყო! — შენ, ზაჭკეტა, ხელს ხუ მიშლი; სიმინდს, მგო-

ნი, ჯერჯერობით ვერ ეწეობი, ცოტა ჩამოდექი, თორემ  
დავ ამ გაუძამდრებს, მარცვალი არ გაუშვებს.

მაჭკურტა კრავი ძამალს გაეთამაშა, კუდზე ჰირი  
და წიწკნა დაუწყო.

— კუდს თავი გაანებე, შენდა საწიწკნად როდი ძამია: კუ-  
დი ფრენისათვის არის საჭირო; სიდან რომ ძირს ჩამოვფრინ-  
დები, უნდა გავშალო, რომ თავით ძირს არ წამოვიდე და  
კისერი არ მოვიტეხო; გაიგე?

— შე-ე-ე?

— ჰო, შენ! ჩემი კუდი დედი-შენის საჭმელი თივა ნუ  
გტონია!

დედა ცხვარი შეტრიალდა და ფრინველების შუა ჩადგა;  
სწორედ ამ დროს ფანჯრიდან ერთი მუჭა სიმინდის მარცვალი  
გადმოცვიინდა და ცხვარს ზურგზე დაეუბრა, ისე რომ არც ერთი  
მარცვალი ძირს არ ჩამოვარდნილა. ძამალს ეს არა-ერთხელ  
ჰქონდა შენიშნული და კარგადაც იცოდა, როგორ უნდა მოქცე-  
ულიყო ასეთ შემთხვევაში. ახლაც მოჰქონა რა თვალთ, რომ  
მარცვლები ცხვირს დააცვიინდა, შეაფრინდა ზურგზე და არ-  
სეინად შეექცა სიმინდს. ცხვარს არაფრად ესიაპოვნა ძამლის  
წვეტიანი ნისკარტი, და გაჭკურცხლა.

— ნელა, შე ქეციანო, რას მიაჭენებ, არ გადმომავდო,  
წერილი ცოლ-შვილის პატრონი ვარ, წიწილები არ დამი-  
ობლო!

ძამალმა სიმინდი ცხვირის ზურგზე რომ აჭკრიფა, ჩამოს-  
ტა, ერთი თავისებურად შემოსძახა, თითქო ცხვარს ძადლობა  
გადუსადა გასეირნებისთვის, და სანაკვესკენ გასწია.

✕

— თამარო! ერთი კულმოსდილი წიწილა აკლია; ნახე ერ-  
თი სად არის!



თამარომ გადახედა წიწილებს, და, მართლაც, ერთი ღამე მასი უელტიტველა წიწილა აკლდა. აქეთ მოიკითხეს, იქით მოიკითხეს, მაგრამ წიწილა არსად იყო.

— კატა სომ არ ეთამაშება: ციცამ იცის მასთან თამაში! — სთქვა დედამ.

— ციცა მართლაც დიდი მოკვარული იყო წიწილებისა და განსაკუთრებით გულლია წიწილისა, რომელსაც უელტიტველას ეძახდნენ, რადგან გული და ეელი ტიტველი ჰქონდა.

ციცა ამ წიწილს გაიტყუებდა სოლმე ცალკე, სან აეკუსებოდა, სან გადაახტებოდა და სანაც კუდის რბილსა და მოქნილ ბოლოს ტიტველ ეელსა და გულზე მოუსობდა, და წიწილიც მას არ შორდებოდა.

შალიკო არა-ერთხელ გასწურომია ციცას წიწილის გატყუებისათვის, თუცა, მართალი უნდა ითქვას, ციცას წიწილების კატაცება და ჭამა ჩვეულებად არ ჰქონდა, მაგრამ მას წიწილთან თამაშს მანაც უშლიდნენ, რომ მარცხი არ მოხვლოდა, და საკონცელი ჰირი საცემად არ განდობოდა.

— ფის, ფის! — დაუძახა დედამ ციცას და სახლის ეურისკენ მიიხედა.

ციცა მართლაც მოკუტულიყო სახლის უკან, მისი ჰირად, წიწილას კი მის მუსლის ქვეშ მოკვალაობინა და კატის ფესებ შუა არხეინად იეურებოდა.

შალიკომ წიწილა შინ შემოიყვანა და ცალკე დაუეარა მარცვალი.

✕✕

როცა საქონელი დაბურდა, სახლი შეუდგა საუხმეს. დიდი და ზატარა შემოუჯდა გაწუობილ მაგიდას და ჩაის შეექცეოდნენ. ამ დროს ციცა აუცილებელი სტუმარი იყო სასადილოსი. მას ჩვეულებად ჰქონდა, რომ საუხმის წინ სასადილო ოთახში უთუოდ რაიმე ნანადირევა უნდა მოეტანა. სმო-

რად შესკია ჩიტები მოჭევადა, ეს დაუძინებელი მტერი აბრეშუმის ჭიისა; თუ ჩიტს ვერ დაიჭერდა, თავს მოიტანდა. დღესაც ელოდნენ ციცას ნადავლით, მაგრამ ის რაღაც იკვირებდა. ბოლოს მოისმა კატის კრუტუნიც.

— ციცას ნადავლი მოაქვს!— დაიძახა შალიკომ.— შე ვიტყვი— ჩიტია.

— თავგია!— სთქვა თამრომ.

ციცას გაუღეს კარი და ნახეს, რომ ვებერთელა ბაუაი დაეჭირა, ჰირში ეკავა და შოანროწიალებდა.

ეს იყო გომბიო-ბაუაი. დედამ ის ბოსტანში ჩასვა, რომ ბოსტნეული ჰეჭელა-ბუს-ჭია-ღუებისაგან დაეცვა.


სასლში ამის დანახვასე ეველას გულით გაეცინა.

გულ-წასული და შეძინებული ბაუაი ციცამ ჩვეულებრივად დედის სკამზე დასდო; ბაუაეს თვალები დაფართოებოდა და შიშისაგან არ ინძრეოდა.

შალიკომ მოიტანა ცოცხი, დანდვა ზედ ბაუაი, ბოსტანში ჩაიყვანა და ისევ ბოსტნის დარჩაობა უბოძა; ერთგულად კეთილ ციცასკი დედამ თავზე სელი დაუსო და ეველი და მჭადი შესთავაზა.

სონია ხაუმია





## განთიადზე



ღის და კისკისებს ზატარა თინა,  
იქნებ არ იცით რამ შობაღისინა?  
ღის განთიადის ნაზი სიცილი  
ისე იაბა, აღარ სურს ძილი.

შერცხლის ჭიკჭიკმა მოსტაცა სმენა,  
ზურმუხტ მდგელოზე მასაც სურს რბენა.

ბევრს დაჭკრეუს თინა ფერად ვუვაილებს,  
დედას მიუტანს, დედას ააბებს;  
მაგრამ დედილო წუროპით შეხედავს  
და წარბ-მოსრილი ეტეუის თვის კიემაქს:  
—რად არ იცოდია, რომ ეს უვაილიც  
შენებრ ეტრფოდა ღის ნათელ რიურბას?!..

მიმქრალი





# იანისლი

პიისა მის მოქმედებად

(გადმოკეთებული)

სტენა წარმოადგენს ბალს.

ნისლი (შემოდის). არის ბქ ვინმე? (დადის და ტრიალებს. შემერთ წუთს შეჩერდება, შერე ისევ დაიწყებს ცეკვა-ტრიალს).

ია. ვინა ხარ შენ?

ნისლი. (განაგრძობს ცეკვას).

ია. რატომ ჰასუსს არ იძლევი, როცა გეკითხებიან? უსრდეელი ეოფილხარ.

ნისლი. ასლავე მოვალ შენთან. (მივა იასთან და მოეხვევა).

ია. უი, უი, უი! იქით წაიღე შენი სველი თათები! ასე მგონია ჭაობში ამოძვლესო. ნუ თუ გწუნის, როდესაც ვიწაობას გეკითხებიან?

ნისლი (უკან დაიწევს). მე ვინა ვარ?.. სულ ერთია: შენ ვერ მიხვდები. ევაგილზე ვარ ცვარი, ცაზე—ლრუბელი, ასლა კი მინდორში ნისლი ვარ. ჭა, გაიგე?

ია. როგორ? ერთი კიდევ გაიძეო! ცვარს კარგად ვიცნობ, დილაობით ეოველთვის ჩემ ფოთლებზე კამკამებს. მაგრამ ჩემის ახრით თქვენ შორის არაფერი მსგავსება არ არის.

ნისლი (ნაღვლიანად). მე ძინც ცვარის წვეთი ვარ, მაგრამ არაუნა მცნობს: სსვა-დასსვა სსხეს ვითვისებ სოლმე, ხან



ცვარი ვარ, ხან წვიმა, ხან-და-ხან კიდევ ტყეში მივჩუხჩუხებ მჭვირვალე, ანკარა ნაკადულად; საღამოთი კი, როცა მინდვრებსე დავეშვები, ვცაქვავ და ვტრიალებ; მაშინ ჩემსე ამბობენ: „აი, ნისლი გაჩნდა“.

ია. საკვირველია, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით მიამბე, ღამე დიდია, და მე კიდევ აქ მარტო მოწეპილი ვარ.

ნისლი. ეს გრძელი ამბავია, მაგრამ მაინც ვეცდები გიამბო. (იასთან მივა, უნდა ხელოს მოუჯდეს).

ია. არა, თუ ღმერთი გწამს, ცოტათი შორს დაჯექი, მანამ შენ ამბავს დაასრულებდე; არ მიუვარს მისი სიახლე, ვისაც არ ვიცნობ.

ნისლი. (მოშორებით დაჯდება). დედაპიწის სიღრმეში დავიბადე, ჩემი სამშობლო შენს ფეხებსე უფრო ღრმადაა დედაპიწის გულში. იქ გაეჩნდით მე და ჩემი ძმები; უნდა გითხრა: ჩვენი ოჯახი დიდია. ამ მსოფლიოში ძალიან ბევრი ვართ, სუფთა, მჭვირვალე წელის წვეთები; დიდხანს ვიუავით ბნელ სამეფოში. ერთ მშვენიერ დღეს დავიძარით, ამოვსტით გორაკის ფერდობიდან და ბრწყინვალე მზემაც თვალები შემოგვაჭეიტა. არ დაიჯერებ, რა სიამოვნება იყო ჩვენთვის ტყეში სირბილი! როგორც გიყები ისე გავრბოდით ქვებსე და ნაპირებს ვესსურებოდით. მშვენიერი ჰატარა თვესები დასრიალებდნენ ჩვენ შორის; სეები ჩვენკენ ისრებოდნენ და ძალიან უსაროდათ, რომ ჩვენ სარკეში თავის სახეს სედავდნენ. აქა-იქ ფოთლები ცვიოდით. ჩვენ ალერსით შორს-შორს მივექანებოდით. ოჰ, მშვენიერება რამ იყო! ეს იყო უდიდესი ბედნიერება ჩემ სიცოცხლეში.

ია. კარგი, მაგრამ როგორ იქეცი ნისლად? შენი ნაამბობიდან არა გაიკება-რა. ნაკადი ვიცი რაც არის. როცა სიჩუქვა, აქ ისმის იმისი ჩხრიალი.

ნისლი (აღგება, ცოტა ხანს ცეკავს, შერე ისევ დაჯდება). ამის შემდეგ ვანაში ცუდი ის არის, რომ არავინ არ სჯერდება იმას, რაცა აქვს. ბოლოს და ბოლოს დიდ ტბაში ჩავცვივდით. ტბაზე ნახად ირხეოდნენ თეთრი ზამბახები და მსიარულად ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინები. ტბა შემოდან სარკესავით იყო, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ ტბის ძირას უნდა ჩავსულიყავით; იქ კი სამინლად ბნელოდა. ამისთანა ცსოვრების ატანა შეუძლებელია. ვნატრობდი მზის სხივებს. ოჰ, სსივეები მას შემდეგ მასსოვან, როცა ნაკადულში დაგხსნიალებდი. ტურფა მზე! რა საამოდ გვეაღერებოდა და თან გვათობდა. აი იქ, ტბის ძირში გადავსწუვიტე ერთსელ კიდევ შენახა მზის სსივეები! ამოვცურდი ტბის ზედაპირზე და წამოვწექი ზამბახის გვერდით. მზეს მივეფიცე. მზე კი შეუბრალებლად მწვავდა. მწარედ ვსტიროდი და ვნახობდი, რომ ტბის ძირში არ დავრჩი.

ია. რად მინდა ეს ამბავი! ნისლი როდისღა გამოჩნდება?

ნისლი. აი, აქ განლაგარ (მაგრად მოეხვევა იას).

ია. ვაი, ვაი, ვაი! ჩემ ნაცნობებში ეველანზე უფრო ბრაზიანი უოფილხარ. თუ დემრთი გრწამს, ცოტა უკან დაიწიე და მიამბე, რა მოხდა შემდეგ.

ნისლი (ცოტა განზე დაღება). საღამოზე, როცა მზე ჩავიდა, დიდი შვება ვიგრძენი. არ ვიცი კი, როგორ მოხდა, მაგრამ უეცრად მოვწედი ტბას და გავეწიე, მოვპორდი ზამბახს და ჭიაფერს. საღამოს გრილმა ქარმა გაპიტაცა: ავფრინდი მელა ჰაერში და იქ შევხვდი მრავალ ჩემს ძმებს, რომლებიც ცნობის-მოკვარენი იყვნენ და ჩემსავით ამოვიდნენ ტბის სიდრმიდან. ავედით ცაში და ღრუბლად გადავიქცით: ახლა გესმის?

ია. როგორღაც არა მჯერა.



ნისლი. მართლაც კეუბნები. მოპისმინე, რა მოსდა შექმდე: ქარი სულ მადლა-ჭაერში მიგვაფრენდა. ბოლოს ალბად იმასაც მოსწეინდა, გაგვიძეა და ცოტა ხანს შექმდე სშირ წვიმად ჩამოვცვივდით. ევაველები თავიანთ ფოთლებში იმაღებოდნენ; ფრინველებიც მიეპურებოდნენ დასამალავად. მარტო ბატებსა და ისვებს არ შეეშინდათ: იმათ სომ უოველთვის ახარებს წვალი, სისველე. კლესიც იღვა და ხარობდა. იმის ჰურს წვიმა უნდოდა. თვითონ რომ თავით ფეხამდის დასველდა, ამას არ სწუსდა. ამნაირად ჩვენ სამინელი აურსაური ბეტეხეთ.

ნა (გაოცებული). მაშ, შენ წვიმაცა ხარ? სხანს დიდ ჯაფაში უოფილხარ!

ნისლი. მართლაც ერთი წუთი მოსვენება არა მაქვს.

ნა. მაგრამ მაინც ვერ გამოვიდა, როგორ გადაიქციე ნისლად? არ გაბრახდეკი, თუ დამერთი გწამს. შენ თვითონ დამპირდი—გეტყვიო, და მეც მეტი სიამოვნებით მოვისმენ ისევ თავიდან შენ ამბავს, ვიდრე შენ უმნო, ნესტიან ხელებს შევკვებები.

ნისლი. როდესაც წვიმად ჩამოვვარდი, შავ მიწაში ჩავიფალი და მისხროდა, რომ სამშობლოში, ქვესკნელის კულის წვაროში დავბრუნდებოდი. იქ დამშვიდებული მაინც ვიუავი და არაფერს არ ვწუხდი. მაგრამ რომ არ დამცალდა! სის ფესვებმა შემსრუტეს და მეც იძულებული ვიუავი მთელი დღე სის ფოთლებსა და ფესვებში მერბინა. მე იმათთვის დიდად საჭირო ვიუავი. მთელი ის სახრდო, რაც ფოთლებს სჭირდებოდათ, მე უნდა შეზიდნა იმათთვის ფესვებიდან დილიდან საღამომდის. მხოლოდ საღამოს განვთავისუფლდი. მზე ჩავიდა, უველა



ევაზილმა და ხემ თავისუფლად ამოისუნთქა, და იმათმა ამო-  
სუნთქვამ ამოკვაფრინა ძაღლა ჩვენც, ძე და ჩემი ძმები, მჭკვირ-  
ვალე ნისლად. ჩვენც ახლა ღამე დავდივართ მინდვრებში; სვალ-  
კი, როცა მზე ამოვა, სუფთა ცვარად ვესსურებით შენ ღა-  
ძას ფოთლებს და შუქს გამოვცემთ. შემდეგ ან მზე წაგვი-  
ეგანს, ან შენ გადაგებერთავ, და ჩვენ ღრმად მიწაში ჩავე-  
შვებით და ვივლით იქ, სანამ ჩვენ საკუთარ ნაკადს არ ვი-  
ზოვნით. მაგრამ გზაში შეიძლება რომელიმე სის ფესვებმა  
დაგვაკაონ და დავიწუებთ ისევ სეტიალს: ნაკადულიდან ტბა-  
ში, ტბიდან ჭაერში, ჭაერიდან მიწაში.

ია. გაჩერდი, მეტი აღარ შემიძლია: გამოძახრუა შენმა  
აძბაემა. სწორედ რომ დიდი ტანჯვა გამოვივლია ცხოვრება-  
ში. მებრალეები, რომ აძენი მწუსარება გინახავს, მოუსვენარი  
ცხოვრება გქონია.

ნისლი. ახლა სომ აქა მხედავ, ნისლი ვარ, მაგრამ, ინათ-  
ლებს თუ არა მაძინვე ცვარად გადავიქცევი და შენ ფოთლებს  
ზედ დავაკვდები. ახლა კი ველარ გაუძელ შენ სიევარულს:  
მაგ ზაწია მკერდში უნდა ჩაგვერა (მოეხვევა).

ია. ვაი, ვაი! სულ დამიჭელიტა ფოთლები. ვეთაუვა, ცოტა  
განზე დადექი. მართალია—მებრალეები, მაგრამ მაინც მწეინს  
შენი სიასლე.

ნისლი (იას მოშორდება, მერე ისევ მასთან მივა). ახლა სომ გაი-  
კე, როგორ გადავიქცევით სოლმე ნისლად, ან ცვარად. ახლა  
საცაა დამიძახებენ.

ია. თუმცა მჯერა, მაგრამ მაინც ვერ გამოვარკვიე: ნისლი  
ცვარად როგორ გადაიქცევი.

ხმა ვარედან: ნისლო, ჩქარა წამოდი! საცაა კათენდება.

ნისლი. მოვდივარ. (იას) შეძახიან: უნდა წავიდე. ნება მთქმობს  
 მეცი უკანასკნელად შემოგეხვიო.

ია. გთხოვ ხელი არ მასლო, ფოთლები არ დამისველო.  
 შენ არ სთქვი: დილაზე ცვარად გადავიქცევიო.

ნისლი (აღგება). მამ ნახვამდის. (გავა).

ია. საწუალო, რა ტანჯვა უოფილა შენი სიცოცხლე!

პელაგია კანდელაკი





## კულა-კულა არაკეზი

უ რ ხ ე ნ ი



იდი ხანია უნდოდა მოხუც ლომს დაეთვალიერებია ჰატარა კუნძული, რომელიც მდინარის შუა ალაგას იყო, მაგრამ როგორღაც მოხერხებული დრო ვერ ემოვნა.

მიდის ერთხელ ლომი კვასე, რომელიც მდინარეს ნაპირ-ნაპირ ჩასდევს, დაინახა შორს კუნძული და შესდგა.

— არა,—გაიფიქრა თავის გულში,—კმარა ლოდინი! უნდა დაეთვალიერო კუნძული და ვნახო, როგორ ცხოვრობენ იქ მაიმუნები. ეუოფათ, რაც ინებიერეს; ახლა დროა მოვბგნო, რომ იმათ შეფეს ისინი არ დავიწყებია...

ამ დროს მთებზე თოვლი დნებოდა და ადიდებული მდინარე რისხვით მოჭქუნდა. აბა, ლომი როგორ გავიდოდა აქაფებულ მდინარეში? ცურვა ხომ ლომებმა იძღენად იციან, რამდენადაც ურენა?.. მიუბრუნდა ლომი მსლელებს:

— ვინ არის გამკე ამ მდინარისა?

— ზღვის კამეჩი, აი, ბეკემოტი—სქელკანა!—კუდის ქიცინით და ცბიური ღიმილით მიუტიტინა შელიამ.

— აქ მოძვეარეთ ჩქარა!

დაუბაცურდნენ შელა, ტურმა, მანვი, დათვი, — მოახსენეს შეუის ბრძანება.

მობაჯბაჯდა ზღვის კამეჩი. შიშით სულ დაღუულიყო, თითქოს ლოკოკინას ნაჭუჭში აპირებს ჩამრომასო. მუდამ ჯირკვიით გაშეშებული ტანი სამად მოეკაკავა.

— რას გვიბრძანებთ, თქვენო დიდებავ? — თავი დაბლად დაუკრა და სმის კანკალით დაეკითხა.

— იცით რა? — ცოტა ძრისხანედ დაიწყო ლომმა, — რას ნიშნავს ეს, რომ შეფეხს სურს თვისი საბრძანებელი მოიაროს და თქვენ კი გზა არა გაქვთ? — შემდეგ დინჯად დაუმატა, — სამ დღეში მოაწეე ისე, რომ მე შემეძლოს აი იმ კუნძულზე მივსვლა. ტესმის?! თორემ ცუდ დღეს დაგაუენებ!..

— შესმის! — ნაღვლიანად წარმოსთქვა ზღვის კამეჩმა და თავი ჩაქინდრა...

რა ქნას? ბრძანების შეუსრულებლობა სომ არ შეიძლება? არა და როგორ უნდა გაიუვანოს ლომი მდინარეზე? — იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ბრძანა — შევერიბათ ერთად წავეები. განზრახ წარბები შეიკრა და მოიღუშა ზღვის კამეჩი, რომ წავეებს მეტი შიში ეგრძნოთ.

— ამ სამი დღის შემდეგ აქ გამოივლის ლომი, მას უნდა კუნძულზე გასვლა... და... ჭმ!.. — ჩახსველა ზღვის კამეჩმა, — მამ ინებეთ ვარჯა, რაც შეიძლება ბევრი ჯოხები, ჯირკვები და ქორთუხები მოჭეარეთ აქ და ჩააწეეთ მდინარეში ისე სშირად, ისე მწიდროდ, როგორც ამ რიუეზე ქვებია, რომ მდინარე სულ ამოივსოს, და ააძენეთ ხიდი!

წავეებმა ერთმანეთს გადასედეს და მოკრძალებით მოახსენეს ბატონს:

— დიდო ბატონო! არაფერი მაგისაგან არ გამოვა; სულ ერთია: რაც უნდა ბევრი მასალა ჩავეაროთ წებალში, ეველა-

ფერს ისევ წუხლი წაიღებს და არასოდეს ასე ხიდი არ აშენდება. აბა ერთი შესედეო, როგორ გალოძებული მოჭქუსს; ლამის მთელი მთა-და-ბარი თან წაიღოსო. აბა რომელი ჯოხი ან ჯირკვი გაუმპგრება მისი ტალღების ძალას?! ისევ ისა სჯობია მკვიდრი ჯეპური ამოვაშენოთ და ზედ მაგარი ხიდი დავაგოთო.

გარისხდა ზღვის კამეჩი,—მართალია, კანი სქელი და ტლანჩი მაქვს, მაგრამ თავმოყვარეობა—მელიაზე უფრო ნახი და ფაქისიო.

—გაკმინდეთ ხმა!...—დაუბრიალა ვაწრო ქუთუთოებში მომწვედელი შავი, კუსა-კუსა თვალები!—როგორ ჰბედავთ ურჩობას? ინებეთ მსოლოდ მოსმენა იმისი, რახაც კობრძანებენ, და თუ არ იქნება შესრულებული, თავებს დაგაერევიანო!—დაიბღვრიალა და ვასწია.

წავიდნენ მდინარის სუროები, მოიყარეს ერთად თავი და დაიწვეს თათბირი, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. ბოლოს ერთმა სთქვა:

—ნუ, უეურებო, მძებო, იმას. სისულელესა ჰმასხავს, არაფერი ახრი ამ ბრძანებას არა აქვს... გაუაკოთოთ ისევ ისევ, როგორც რიგია. აბა, დროს ნუ ვკარგავთ, შევუდგეთ ჩქარა საქმეს!...—დაასრულა წავმა.

—შეუდგეთ,—შესმასეს! ერთხმად, და განაღდა მუშაობა... ძირში ღრღინან ბასრი კბილებით უზარმაზარ სეებს, მიწაზე ანარცხებენ... დიდროს ქორთუხებს ისე სთლიან, თითქო სელში კარგი ოსტატის სელეჩო ეჭიროთ... მდინარის ფსკერზე სარებს ასობენ, სარებს წკნელებით ბლანდავენ, ნალექით ლესავენ, კუდებით სტენიან. დღე და დამე გააერთეს წავებმა.

მესამე დღეს ამოიყვანეს მხალღი ჯებირი ნაპირიდან კუნძულამდე, ზედ ჩინებული ხიდი დააკეს. თუნდა ეტლით მიბრძანდით!



შუადღისას გამოხდა ლომიც, თვისი ამალით; ზღვის კაშები გახარებული დგას სიღის თავში და ელის. შუდამ ძირს ჩაქინდრული თავი ასლა მადლა აუწვევია, თითქო სიღის ბოლოს გაჭეურებსო...

— მამ ეკრე, — ვკვლავფერი მხად აზის, ისე, როგორც შევუბრძანე! — კმაყოფილად ჩაიბურდელა მან: — და კიდევ ურჩობას მიბედავდნენ, ბრევეები!..

— ოჰ, რა მშვენიერი მოგონებაა! — მოუწონა ლომმა, — სწორედ საუცხოვოა: ისე გაივლი, რომ ფრჩხილიც არ დაგიკველდება.

გადავიდა ლომი კუნძულზე; მდინარის გამკე კამეჩიც თან ეასლა. წინდაწინ დაგზავნეს შიკრიკები, რომ უოველგან ღირსეულად დახვედროდნენ იშვიათ სტუმარს. ტურები გზას უხვეუნებენ, წაენი ჭკაფავენ, მელიები კუდით ჭტვიან, ფოცსვერნი ჯარს ამხადებენ ჰურ-მარლით მეფის შესასვედრად.

მთელი დღე ისეირნა ლომმა, ბევრი რამეები ინახულა და საღამო ეამს შინ დაბრუნდა... მოაგონდა ზღვის კამეჩი და გაუგზავნა მას დიდი ევლის მედლი ფართე სონარით, ბატონის ერთგულებისა და ბეჯითის სამსახურისთვის, როგორც ხელოვან ამშენებელს.

ასეთი უხვი მოწვალების დანახვაზე კინაღამ გული გაუსქდა ზღვის კამეჩს სინარულით. რომ მართლა კამეჩის გული არა ჭქონოდა, იგი დღეს ცოცხალი არ იქნებოდა.

მეისვე დაიკიდა ევლზე წარჩინების ნიშანი; ამაყად, ტანის დინჯი რხევით დაჭევა მდინარეს... იქვე ჯებირის ასლოს წავეები დაინახა, მაშინვე მოიღუმა, დაუცაცხანა:

— ჰო, ჰო! რა იყო, რას შემწერებისართ ხარბი თებლებით, თქვე ურჩებო, თქვე ბრევებო — თქვენა? ასლა სომ დაინახეთ, რომ ჩემი საქმე ჩინებულად მცოდნია; ამას ერთხელ

კიდევ ამტკიცებს აი ეს მადლობის ნიშანი მეფისგან; თქვენ  
 კი მე მისწორებდით, ჩემ ბრძანებას იწუნებდით! ჭეი, მკუ-  
 ლებო, დააკლიჯეთ ამათ კუდები უწრობისათვის!

ბატონის მოწინილნი მიცვივნენ და ჩააფრინდნენ წავეებს  
 კუდებში. ისინი შიშით გულ-გასეთქილნი გადაეშვნენ მდინა-  
 რეში და კუდები შუაზე მიაწუდათ.

მას შემდეგ მშვენიერი, ფუნთუშა ბუმბულიან ქათობით მე  
 მოსილ წავეებს კუდები ძოკლე შერჩათ, როგორც შუაზე გა-  
 ჭრილი ნაძირი...

ილ. გოგია





# კეზუსი

(წარმოდგენილი ელენე თაფართქალბას-შიერ)



ბ



ს

საქართველოს  
ულიდესი და  
უძველესი  
ზგოსანი.

პ




„



,



მე-3 №-ში მოთავსებულ ვამოყანის ახსნა:



დასურათებული საშვავ.ლო შუხნალი



წელიწადი  
შეთოთხმეტე.

# ნაკადული

წელიწადი  
შეთოთხმეტე.

შუხნალი გამომვა ჩვეულაბრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა რედაქც-ას, ვცდებთ მცირე-წლოვანთათვის წინანდელივით **ორი წიგნი** გამოსცეს თვეში და მოზრდ-ლთათვის—**ერთი წიგნი**; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოიცემა თვეში ერთი წიგნი მცირე-წლოვანთათვის, და ერთი წიგნი—მოზრდილთათვის.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**12 მან.** ნახევარი წლით—**7 მან.** ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—**7 მან.** მოზრდილთათვის—**7 მან.** ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

## ხელის მოწერა მიიღება

**თბილისში**— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. №8. შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიძესთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ზ. სამსონ ყაზიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—შეთოდე კაკაბაძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან ზ. ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ი. წერეთელთან. **ხონში**—მ. ი. კავჭანიძესთან. **მიხაილოვოში**—გიორგი ნაკაშიძესთან. **ოზურგეთში**—სალომე ხუნდაძესთან, **ლანჩხუთში**—მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი მ. პავლე იოსებისძე თუმანიშვილი.